საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება
№ 94 2010 წლის 12 თებერვალი ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 9 სექტემბრის № 746 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 9 სექტემბრის № 746 ბრძანებულებაში (სსმ, III ნაწ., 2005 წ., № 108, მუხ. 1199) შეტანილ იქნეს ცვლილებები და ბრძანებულებით დამტკიცებული მე-18, მე-19 და მე-20 პლანშეტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ ლ ა ნ შ ე ტ ი 18

1. ე-კლასი (საზაფხულო) - საველე ქურთუკი და შარვალი კომუფლირებული მწვანე ციფრულ ფერთა გამით, ფარფლიანი საველე ქუდი, საზღვაო მაისური, შავი მაღალყელიანი ფეხსაცმელი; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. ე-კლასი (ზამთრის) - გოროტექსის ტიპის ქსოვილის საველე ქურთუკი და შარვალი კომუფლირებული მწვანე ციფრულ ფერთა გამით, პოლარტეკის ტიპის დათბილული სვიტრი, დათბილული კეპი, საზღვაო მაისური, დათბილული შავი მაღალყელიანი ფეხსაცმელი; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

ა-კლასი - სააღლუმო ფორმა;

ბ-კლასი - გამოსასვლელი ფორმა;

გ-კლასი - ყოველდღიური ფორმა;

დ-კლასი - სამსახურებრივი ფორმა;

ე-კლასი - საველე ფორმა.

ზაფხულის საველე
ფორმა

საველე
ზამთრის

<u>პ ლ ა ნ შ ე ტ ი 19</u>

სანაპირო დაცვა

1. ა-კლასი:

თეთრი კიტელი დამდგარი საყელოთი, გულმკერდის არეში 2 გარეთა ჯიბით, დასახური კლაპნითა და ოქროსფერი ღილით, კიტელის შესაკრავი ხუთი ოქროსფერი ღილით;

თეთრი შარვალი (წინა და უკანა ნაკეცებით, ქამრის 7 გასაყრელით, წინ ელვა შესაკრავით, ორი გვერდითი ჯიბით);

თეთრი ტრუსი;

მოკლესახელოიანი თეთრი მაისური;

თეთრი წინაფრიანი ქუდი (შავი წინაფრით, თეთრი მოსახსნელი სარჩულით);

თეთრი ფეხსაცმელი (ტყავის);

თეთრი ქამარი (3 სმ სიგანის, ოფიცრებისათვის - ოქროსფერი დახურული ბალთით);

თეთრი ხუთთითიანი ხელთათმანი;

წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. ა-კლასი (ქალის):

თეთრი პიჯაკი ოთხი ოქროსფერი ღილით;

თეთრი პერანგი (გრძელსახელოიანი, თეთრი ღილაკებით, გულმკერდის მარცხენა მხარეს გარეთა ჯიბით);

თეთრი ქვედა კაბა (ქამრის ხუთი გასაყრელით, უკან ელვა შესაკრავით, ორი გვერდითი ჩაჭრილი ჯიბით);

თეთრი წინაფრიანი ქუდი (შავი წინაფრით, თეთრი მოსახსნელი შალითით);

კლასიკური სტილის თეთრი ფეხსაცმელი (ტყავის) 4 სმ სიმაღლის ქუსლით;

თეთრი ქამარი (2.5 სმ სიგანის, ოფიცრებისათვის - ოქროსფერი დახურული ბალთით);

თეთრი ხუთთითიანი ხელთათმანი;

შავი ყელსახვევი „პეპელა“;

წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

3. ბ-კლასი:

შავი ორბორტიანი პიჯაკი, სამი ჯიბით - ორი ქვედა ჩაჭრილი ჯიბითა და ერთი ჩაჭრილი ჯიბით მკერდის მარჯვენა მხარეს, სამი წყვილი პარალელურად განლაგებული ღილით;

თეთრი პერანგი (გრძელსახელოებიანი, თეთრი ღილებით, გულმკერდის მარცხენა მხარეს გარეთა ჯიბით);

შავი შარვალი (წინა და უკანა ნაკეცებით, ქამრის 7 გასაყრელით, წინ ელვა შესაკრავით, ორი გვერდითი ჯიბით);

თეთრი წინაფრიანი ქუდი (შავი წინაფრით, თეთრი მოსახსნელი შალით);

შავი ფეხსაცმელი (ტყავის);

შავი ქამარი (3 სმ სიგანის, ოფიცრებისათვის - ოქროსფერი დახურული ბალთით);

შავი ჰალსტუხი (მაქსიმალური სიგანე ბოლოში - 7.5 სმ, კვანძთან - 2.5 სმ);

წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა;

შავი პულოვერი ამოღებული გულით, მხრებზე ჩაყოლებული ქსოვილით სამხრეებისათვის.

4. ბ-კლასი (ქალის):

შავი ერთბორტიანი პიჯაკი, ერთი ჩაჭრილი ჯიბით გულმკერდის მარცხენა მხარეს, 4 ღილით;

თეთრი პერანგი (გრძელსახელოიანი, თეთრი ღილებით, გულმკერდის მარცხენა მხარეს გარეთა ჯიბით);

შავი ქვედა კაბა (ქამრის 5 გასაყრელით, 2 ჩაჭრილი გვერდითი ჯიბით, უკან ელვა შესაკრავით);

თეთრი წინაფრიანი ქუდი (შავი წინაფრით, თეთრი მოსახსნელი სარჩულით);

შავი ფეხსაცმელი (ტყავის), კლასიკური სტილის 4 სმ სიმაღლის ქუსლით;

შავი ქამარი (2.5 სმ სიგანის, ოფიცრებისათვის - ოქროსფერი დახურული ბალთით);

შავი ყელსახვევი „პეპელა“;

წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

5. ბ-კლასი (საზაფხულო):

შავი შარვალი (წინა და უკანა ნაკეცებით, ქამრის 7 გასაყრელით, წინ ელვა შესაკრავით, ორი გვერდითი ჯიბით, უკანა მარჯვენა მხარეს თეძოს არეში ჩაჭრილი ჯიბით);

თეთრი პერანგი (მოკლესახელოიანი, თეთრი ღილებით, გულმკერდის არეში სარქველიანი გარეთა ჯიბეებით);

შავი ფეხსაცმელი (ტყავის);

შავი ქამარი (3 სმ სიგანის, ოქროსფერი დახურული ბალთით);

თეთრი წინაფრიანი ქუდი (შავი წინაფრით, თეთრი მოსახსნელი შალითით);

წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

6. ბ-კლასი (ზამთრის):

შავი მანტო (ქსოვილი - მაუდი) ორბორტიანი, სამი წყვილი პარალელური ღილით, წინა მხარეს ორი ჯიბით (30 გრადუსით დახრილი ჭრილით);

ა-კლასი - სააღლუმო ფორმა;

ბ-კლასი - გამოსასვლელი ფორმა;

გ-კლასი - ყოველდღიური ფორმა;

დ-კლასი - სამსახურებრივი ფორმა;

ე-კლასი - საველე ფორმა.

საალაგმო
ფორმა

გამოსასვლელი
ფორმა
ადმირლის

გამოსასვლელი
ფორმა

გამოსასვლელი
საზაფხულო
ფორმა

საალაგმო ფორმა
(ქალი)

გამოსასვლელი
ფორმა (ქალი)

ზამთრის
გამოსასვლელი
ფორმა

<u>პ ლ ა ნ შ ე ტ ი 20</u>

სანაპირო დაცვა

1. გ-კლასი (საგაზაფხულო - საშემოდგომო):

შავი ქურთუკი, წინ ელვა შესაკრავით, გულმკერდის არეში დასახურკლაპნიანი ორი მიკერებული ჯიბით, ოქროსფერი ღილით, სახელოს დაბოლოებაზე შესაკრავი ღილით. ქურთუკის დაბოლოებაზე - რეზინის ნაოჭით;

შარვალი - წინა და უკანა ნაკეცებით, წინ ელვა შესაკრავით, გვერდებზე წაჭრილი ჯიბეებით, უკან, თეძოს არეში, ჩაჭრილი ჯიბით მარჯვენა მხარეს;

გრძელსახელოიანი თეთრი პერანგი;

შავი ჰალსტუხი, კვანძის მაქსიმალური სიგანე - 2.5 სმ, ბოლოში - 7.5 სმ;

ქუდი თეთრი მოსახსნელი სარჩულითა და შავი წინაფრით;

შავი დაბალყელიანი ფეხსაცმელი;

წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა;

2. გ-კლასი (ფორმა „ხაკი“):

ხაკისფერი პერანგი ასაკეცი ან მოკლე სახელოთი, გულმკერდის არეში ორი გარეთა ჯიბით, სარქველითა და ღილით, პერანგი ექვსი ღილით;

ხაკისფერი შარვალი (წინა და უკანა ნაკეცებით, ქამრის 7 გასაყრელით, წინ ელვა შესაკრავით, ორი გვერდითი და უკანა ჯიბით მარჯვენა მხარეს);

თეთრი წინაფრიანი ქუდი (შავი წინაფრით, თეთრი მოსახსნელი სარჩულით);

ხაკისფერივე კეპი და ქუდი „პილოტურა“;

შავი ფეხსაცმელი (ტყავის);

ყავისფერი ქამარი (3 სმ სიგანის, ოფიცრებისათვის - ოქროსფერი დახურული ბალთით);

მოკლესახელოიანი თეთრი მაისური;

წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

3. გ-კლასი (ფორმა „ხაკი“ (ქალი)):

ხაკისფერი პერანგი, გულმკერდის არეში ორი ჯიბით, სარქველითა და ღილით, ასაკეცი სახელოებით, ექვსი ყავისფერი ღილაკით

ხაკისფერი ქვედა კაბა (ქამრის ხუთი გასაყრელით, უკან ელვა შესაკრავით, ორი გვერდითი ჯიბით):

იმავე ქსოვილისაგან შეკერილი შარვალი, გვერდზე ჩაჭრილი ჯიბეებით (ქამრის ხუთი გასაყრელით);

თეთრი წინაფრიანი ქუდი (შავი წინაფრით, თეთრი მოსახსნელი სარჩულით);

ხაკისფერი კეპი და ხაკისფერი ქუდი „პილოტურა“;

შავი ფეხსაცმელი (ტყავის) კლასიკური სტილის, 4 სმ სიმაღლის ქუსლით;

ყავისფერი ქამარი (2.5 სმ სიგანის, ოფიცრებისათვის - ოქროსფერი დახურული ბალთით);

მოკლესახელოიანი თეთრი მაისური;

წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა;

ა-კლასი - სააღლუმო ფორმა;

ბ-კლასი - გამოსასვლელი ფორმა;
გ-კლასი - ყოველდღიური ფორმა;
დ-კლასი - სამსახურებრივი ფორმა;
ე-კლასი - საველე ფორმა.

ფორმა ყოველდღიური
სამუშაო (საგაზაფხულო
საშემოდგომო)

ფორმა "ხაკი" საზაფხულო
(მამაკაცი)

ფორმა "ხაკი" საზაფხულო
(ქალი)

2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ სააკაშვილი